საქართველოს
პარლამენტი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის ქუჩა 26

N 2659
26/12/2016

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

ახალი პოლიტიკური ცენტრის - „გირჩის“ მიერ საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილია საკანონმდებლო წინადადებება N649. 30.11.16), რომელზედაც წამყვან კომიტეტად განსაზღვრულია იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.

საკანონმდებლო წინადადება ითვალისწინებს ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციას. კერძოდ:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის (ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება) პირველ ნაწილში ქმედების შემადგენლობის ელემენტად მიეთითოს - „რეალიზაციის მიზნით“, შესაბამისად, გაუქმდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა პირადი მოხმარების მიზნით მცენარე კანაფის დათესვა, მოყვანა ან კულტივირების გამო.

2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებული იქნას 273-ე მუხლი (პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება) ანუ მოხდეს ნებისმიერი სახეობის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა უკანონოდ მოხმარებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმება;

3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან ამოღებული იქნას 45-ე მუხლი (ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის გარეშე, მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენა ან შენახვა ანდა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება) ანუ ნებისმიერი სახეობის ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის გარეშე, მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენა, შენახვა ან\და უკანონო მოხმარებისთვის გაუქმდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აღნიშნულ საკანონმდებლო წინადადებასთან დაკავშირებით, კომიტეტს ესაჭიროება დამატებითი ინფორმაციისა და კვლევითი მასალების მოძიება და დამუშავება საკანონმდებლო წინადადების საფუძვლიანად განსახილველად. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, აღნიშნული საკანონმდებლო წინადადებების განხილვის ვადა გაგვიგრძელოთ 20 დღით.

პატივისცემით,

ეკა ბესელია

თავმჯდომარე